ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 58

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2016 წლის 5 სექტემბერს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ირინე მაისურაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ელდორადოს“ დირექტორის ელდარ გორგილაძის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ავეჯის აქსესუარების, ხორცსაკეპის და ელ სასწორების შესყიდვა (კოდით CPV39200000-740,90 ლარი, CPV42200000-260 ლარი, CPV38311000-132 ლარი.) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. “საქონელი“

2.1 „საქონლის“ მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 „საქონელის“ ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 „საქონელის“ საერთო ღირებულება განისაზღვრება 1132,90 (ათასასოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.

4. „საქონელის“ მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „საქონელის“ მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2016 წლის 7 სექტემბრამდე.
4.2 „საქონელის“ მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

5. „საქონელის“ მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „საქონელის“ მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 „საქონელის“ ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზრაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული „საქონელის" ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 27 ოქტომბრამდე

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოთ მოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებატა დასრულების შემდეგ.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი"
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3
სახელმწიფო ხაზინა ერთიანი ანგარიში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346
არასამეწარმეო იურიდიული პირი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ელდორადო"

მისამართი: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ#15
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს საქართველოს
„თი-ბი-სი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი:GE73TB7879636080100002
საიდენტიფიკაციო ნომერი: 448391268

„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ი. მაისურაძე

შ.პ.ს „ ელდორადოს" დირექტორი"

ე. გორგილაძე

დანართი N1

ჩამონათვალი ერთეულის ფასების მიხედვით

№	CPV კოდი	დასახელება	განზ.ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	CPV39200000	ვედრო რკინის სახელურით	ცალი	1	5	5,00
2	CPV39200000	პოდნოსი 200 746	ცალი	2	7,4	14,80
3	CPV39200000	მეტალის დანა	ცალი	2	4	8,00
4	CPV39200000	მეტალის დანა	ცალი	4	2,8	11,20
5	CPV39200000	მეტალის დანა	ცალი	1	2	2,00
6	CPV38311000	სასწორი	ცალი	3	44	132,00
7	CPV39200000	მეტალის სათლელი 9	ცალი	2	4	8,00
8	CPV39200000	მეტალის ქვაბი ხელიანი WB-2392	ცალი	1	26	26,00
9	CPV39200000	ქაფქირი დიდი	ცალი	2	11	22,00
10	CPV39200000	ქაფქირი საშუალო	ცალი	1	7	7,00
11	CPV42200000	80525 ხორცსაკეპი NMG945	ცალი	1	260	260,00
12	CPV39200000	60671 მეტ საწური 018	ცალი	2	17,5	35,00
13	CPV39200000	ელიტური შესანახი ყუთი Ш3 (2680)	ცალი	2	5	10,00
14	CPV39200000	წყლის ვედრო სმარტი Ш3 (3060)	ცალი	3	6,2	18,60
15	CPV39200000	თანამედროვე ტოლჩა (4579)	ცალი	4	1,1	4,40
16	CPV39200000	შესანახი ყუთი №4 დოლაპი	ცალი	3	6,8	20,40
17	CPV39200000	გამჭვირვალე ჯამი №2 4,5ლტ	ცალი	8	2,8	22,40
18	CPV39200000	გამჭვირვალე ჯამი №3 9ლტ	ცალი	3	4	12,00
19	CPV39200000	შესანახი ყუთი №4 პეტეკი 9ლტ	ცალი	1	6	6,00
20	CPV39200000	ტაშტი წერტილოვანი №3	ცალი	8	8,5	68,00
21	CPV39200000	შესანახი ყუთი №5 დოლაპი	ცალი	1	8,8	8,80
22	CPV39200000	გამჭვირვალე ჯამი №4 15ლტ	ცალი	3	5,3	15,90
23	CPV39200000	გამჭვირვალე ჯამი №5 25ლტ	ცალი	3	8	24,00
24	CPV39200000	სათლელი Y-139	ცალი	6	1,2	7,20
25	CPV39200000	80361 ქვაბების ნაბორი Arian Gastro №1	ცალი	2	45	90,00
26	CPV39200000	80137 ქვაბი ARIAN NOVEL SET№ 32	ცალი	1	55	55,00
27	CPV39200000	საჭრელი დაფა №3 P103 39.5*24.5	ცალი	5	10	50,00
28	CPV39200000	საჭრელი დაფა №4 P104 42.5*26.5	ცალი	2	11	22,00
29	CPV39200000	80296 ალ. ტაფა №26	ცალი	1	23,8	23,80
30	CPV39200000	80291 ალ.ტაფა №32	ცალი	1	32,2	32,20
31	CPV39200000	გამჭვირვალე ვედრო 30 ლტ (ტყურ)	ცალი	6	12	72,00
32	CPV39200000	ვედრო საკეტით 30 ლტ (ტყურ)	ცალი	4	9,8	39,20
		ჯამი:				1132,90

აიპ "საჩხერის გაერთიანებული
საბავშვო ბაღის" დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი: ი. მაისურაძე

შ.პ.ს " ელდორადოს" დირექტორი: ელდარ გორგილაძე